ხელშეკრულება N73
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

25 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. „ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა“ (ს/კ 202887778) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თეონა ყაჭეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „რასელ ბედფორდ ეიეისი“ (ს/კ 205236840) (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის ზვიად ახვლედიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ - საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის ს1 ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის **აუდიტორული მომსახურების (CPV 79212000)** შესყიდვაზე.
1.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლის შენობაში განთავსებული 343,90 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის საბაზრო-საიჯარო ღირებულების დადგენა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. **CPV 79200000 საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურეობა**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **250 (ორას ორმოცდაათი) ლარს** დღგ-ს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება მოხდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კალენდარული დღის ვადაში
5.2. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.
5.3. მომსახურების განხორციელების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის. (მიღება-ჩაბარების აქტი)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების განხორციელების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით.
7.3. მომსახურების თანხის გადახდა მოხდება ერთჯერადად 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2021 წლის 01 თებერვლამდე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი

მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა	შ.პ.ს. "რასელ ბედფორდ ეიეისი"
მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N20	მის: ქ. თბილისი, ჩიტაიას ქ. N7
ს/კ 202887778	ს/კ 205236840
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: ს/ს „თიბისი ბანკი"	ბანკი: ს/ს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE91TB1100000333609106	ა/ა GE90BG0000000246605200
ბ/კ TBCBGE22	ბ/კ BAGAGE22
დირექტორის მ/შ:	დირექტორი:
თეონა ყაჭეიშვილი	ზვიად ახვლედიანი

Zviad Akhvlediani
Digitally signed by Zviad Akhvlediani
Date: 2020.12.25 16:07:49 +04'00'